გოლი გოლისა სწორია

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 30 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მოსკოვი) 1:1 (0:0).

თბილისი: გოგია, კოსტავა (მუჯირი), კანთელაძე, ხინჩაგაშვილი (ჩივაძე), გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მოსკოვი: პილგუი, ბოკი, ნოვიკოვი, მახოვიკოვი, ბუბნოვი, პეტრუშინი, კოლესოვი, დოლმატოვი, იაკუბიკი (გერშკოვიჩი), მაქსიმენკოვი (კაზაჩონოკი), მინაევი.

მსაჯი: ა. ივანოვი (ლენინგრადი).

გოლები გაიტანეს ქორიძემ (მე–80 წუთი) და მინაევმა (87–ე).

ფეხბურთელთა განლაგება მინდორზე საცნაურს ხდის ხოლმე გუნდის ჩანაფიქრს. მატჩის დაწყებიდან 10–15 წუთის შემდეგ საკმაოდ ნათლად გამოიკვეთა მოსკოველთა სათამაშო გეგმა. ცენტრალურ მცველებს ნოვიკოვსა და ბუბნოვს ფაქტიურად დოლმატოვიც დაემატა და ამ სამეულმა საიმედოდ შეკრა საჯარიმოს მისასვლელები. სტუმრებმა მინდვრის ცენტრში ოთხ ნახევარმცველს მოუყარეს თავი. ასე რომ მხოლოდ ერთადერთი ფეხბურთელი, კოლესოვი იყო თავისუფალი დაცვითი ფუნქციებისაგან. თუმცა, უამისოდ ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, რომ კიდევ ერთი ფრის უსიამო პერსპექტივის მიუხედავად მოსკოვის “დინამომ” მატჩამდე გადაწყვიტა ქულაზე თამაში – სასტარტო განაცხადში არ იყო არც გერშკოვიჩისა და არც კაზაჩონოკის გვარები. კიდევ ერთ საბუთად მეტოქის კარისკენ რეიდების მოყვარულის მახოვიკოვის შედარებით პასიური თამაშიც გამოდგება. რა თქმა უნდა, თბილისელთა თანაკლუბელებს ხელი არ აუღიათ გოლის გატანის მცდელობაზე – მაქსიმენკოვიც, პეტრუშინიცა და განსაკუთრებით მინაევი მართალია, დროდადრო, მაგრამ სახიფათოდ ემუქრებოდნენ გოგიას კარს. პირველ ტაიმში ძალზე ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს მინაევმა და მაქსიმენკოვმა – კარგად ითამაშა თბილისელთა გოლკიპერმა. მეორე ტაიმის დასაწყისშივე მინაევის დარტყმული ბურთი ოდნავ სცდება მასპინძელთა კარს.

სხვა იყო ჩემპიონატის ლიდერის მიზანი და ამ მიზნის მიღწევას მეტოქისაგან სავსებით განსხვავებული მოქმედება ესაჭიროებოდა. 4–3–3 – ასე დაიწყეს თბილისელებმა თამაში. შემდეგ ყიფიანმა ცენტრალური თავდამსხმელის პოსტი მიატოვა და მინდვრის სიღრმიდან გრძელი გადაცემებით სცადა წინ დარჩენილი ორი ფორვარდის გააქტიურება, იერიშებში დროდადრო ერთვება გოჩა მაჩაიძეც. არც ამ ხერხმა გაჭრა – ხუთი მცველის გარემოცვაში მოქცეულ გუცაევსა და შენგელიას გვარიანად უჭირდათ. დარასელიას აგრესიული თამაში მხარდაჭერის გარეშე დარჩა.

დრო გადიოდა, მატჩი თანდათან უახლოვდებოდა ლიგოკურ – “საყაიმო” ფინალს. და აი, მეოთხმოცე წუთზე ქორიძემ წამით დაასწრო მცველებს და თავური დარტყმით ეფექტური გოლი გაიტანა მოსკოველთა კარში, თუმცაღა, არანაკლებ შთამბეჭდავი იყო სტუმართა პასუხიც – შვიდი წუთიც არ იყო გასული, რომ მინაევის ოსტატურად დარტყმულმა ბურთმა მიზანს მიაღწია. თანაკლუბელები ასეც დასცილდნენ ერთმანეთს – ისევ ფრე, ისევ 1:1 და ისევ სავსებით კანონზომიერი გოლებიცა და შედეგიც.

ი. ბერიაშვილი.

“ლელო”, 1 აგვისტო, 1978 წ.